თბილისის “დინამოს” მეორე გამარჯვება

20 დეკემბერს, რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შედგა მეორე საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის და რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ამჯერად თბილისის “დინამოს” მოწინააღმდეგედ ჰყავდა სპორტკლუბ “იუვენტუსის” გუნდი, რომლის შემადგენლობაც გაძლიერებული იყო რუმინეთის სხვა სპორტკლუბების ძლიერი მოთამაშეებით. თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისის “დინამოელები” ავითარებენ თავბრუდამხვევ შეტევას, უპირატესობა მათ მხარეზეა, რის შედეგადაც პირველ ათ წუთში გააქვთ ზედიზედ ორი ბურთი. ამის შემდეგ ინიციატივა რუმინელების ხელში გადადის. რვა წუთის განმავლობაში ბურთი არ შორდება საქართველოს გუნდის კარებს. ჩქარა რუმინელები გამოქვითავენ ანგარიშს. მეთვრამეტე წუთზე დაშავდა შუდრა. მას სცვლის მეკარე სანაია. რუმინელები განაგრძობენ შეტევას და ანგარიშს თავიანთ სასარგებლოდ ადიდებენ. ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავდება. ბოლო წუთებში საბჭოთა ფეხბურთელებს გააქვთ მესამე ბურთი. ანგარიშით 3:3 თავდება პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა აშკარა გახდა. მეექვსე წუთზე პანიუკოვს გააქვს მეოთხე ბურთი, ხოლო შემდეგ ჯეჯელავას და პაიჭაძეს მეხუთე და მეექვსე ბურთები. ანგარიშია 6:3. რუმინელები მოედნის შუაგულიდან ურტყამენ საჯარიმო ბურთს, რომელიც ეშვება თბილისელთა კართან. აქ მყოფი რუმინელი თავდამსხმელი ახერხებს ბურთის გატანას. საპასუხოდ ჯეჯელავას და პაიჭაძეს გააქვთ მოწინააღმდეგის კარში მეშვიდე და მერვე ბურთები. შემდეგ მეხუთე ბურთი დინამოელთა კარში გააქვთ რუმინელებს. ამას თბილისელებმა კვლავ ორი ბურთით უპასუხეს.

ანგარიშით 10:5 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ დასრულდა მეორე მატჩი რუმინელებთან.

“კომუნისტი”, 22 დეკემბერი 1945 წ.